ტფილისი

№ 45
სამშაბათი, 2 მარტი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 45
სამშაბათი, 2 მარტი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

27 თებერვალს, ქ. ქუთაისში, გარდაიცვალა სვანეთის ბლაღოჩინი

დეკანოზი იოსებ ვაწაძე.

მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ ოთხშაბათს, 3 მარტს, ქუთაისში.

(1—27—1)

1899

„მოამბე“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

გამოვა იმავე პროგრამით

მხოლოდ ჟურნალის კრებულის პროგრამის სავსებით შესასრულებლად მიმდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში	**10** მან.	**6** მან.	**4** მან.
საზღვარ გარედ	**13** მან.	**7** მან.	**5** მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: **1** იანვრამდე—**4** მან., **1** აპრილამდე—**3** მან. და **1** სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „Моамбе“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

(20—3)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ნებართვის მიღებისა გამო ამიერიდგან ბანკი სესხს გასცემს იმ მამულების გირაოდ მიღებით, რომელნიც მდებარეობენ კოჯორსა და ბორჯომში, იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის უძრავ ქონებების გირაოზედ აძლევს.

(3—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

ნოტარიუსის

ლევან მღებროვის კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში.

ტელეფონი № 620. (30—6.—17)

ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 14 მარტს ამა წლისას დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში 1898 წლისა.
2. 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
3. არჩევანები საბჭოს ორის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით.
4. არჩევანები გამგეობის თავმჯდომარის და დირექტორისა, იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით ან ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავს ანებებენ.
5. არჩევანები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და იმათის კანდიდატებისა.

საზოგადოების წესდების მე-36 მუხლის ძალით საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საზოგადო ნოტარიული რწმუნებითი ფურცელნი წარდგენილ უნდა იქმნან გამგეობაში კრებამდე სამის დღით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის მარტის 11 რიცხვისა.

(3—6—3)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ მედლები „ერთგულობისათვის“ ზედ წარწერით ქვემო დასახელებულთ იმ სამსახურისათვის, რომელიც მათ გასწიეს 1898 წელს ავაზაკებთან ბრძოლის დროს და მთავრობის ერთგულობისათვის: ვერცხლისა—ბაშკიჩეტის საერობო დარაჯის ჩაფრებს იოსებ აბუაშვილს და მიხეილ იასონაშვილს; ოქროსი—ტფილისის მაზრის საერობო დარაჯის სხდისტანციო უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს ნიკოლოზ ცომაიას, ტფილისის პოლიციის პოლიციელს ნესტორ ხეთაგუროვს და ახალციხის საერობო დარაჯის ურიადნიკს გიორგი მუსაშვილს (იგივე ნიკაშვილი).

გადაყვანილ იქმნა ფოთის ხაზინის ხაზინადარი ხაინდრავა-ონის ხაზინის ხაზინადრად.

◆

ნეკროლოგი

† რაჟდენ სოლომონის ძე ჯაჯანაშვილი.

25 თებერვალს ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელმა დაჰკარგა საუკეთესო მოღვაწე რაჟდენ სოლომონის ძე ჯაჯანაშვილი, რომელიც მასწავლებელთა შორის პატიოსანი მუშაკი იყო, გულწრფელი ადამიანი და სამაგალითო მასწავლებელი.

განსვენებული შთამომავლობით იყო ქართველი აზნაური გორის მაზრის სოფ. კავთისხევიდგან. დაიბადა 1853 წელს, 1 ოქტომბერს. ამის მამამ დაიწყო სწავლა ტფილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში, მაგრამ ძლიერ ჩქარა დაანება თავი. დედა ამისი ნინო, ასული იორამ ქონიშვილისა, 80 წლის მოხუცი, დღესაც ცოცხალია და დასტირის თავისს შვილს. მამა ისევ ცოცხალი ჰყოლია, როდესაც რაჟდენს პირველად დაუწყია სწავლა მანგლისის სასწავლებელში. ამ დროს დაარსდა ტფილისში სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომლის დირექტორმაც თვით გამოსცადა მანგლისის სასწავლებლის მოწაფენი და საუკეთესო მოწაფეთა შორის ამოარჩია რაჟდენიც და გადმოიყვანა ინსტიტუტში.

სწავლის დამთავრების შემდეგ ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში რაჟდენი დანიშნულ იქმნა სოფელ ხერთვისის სკოლის მასწავლებლად ახალციხის მაზრაში, სადაც დაჰყო ოთხს წელიწადს. აქედგან გადმოვიდა ტფილისს და 4 წელიწადს ტერ-აკოფოვის პანსიონში იყო მასწავლებლად. შემდეგ მიწვეულ იქმნა სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლად. აქ რაჟდენი ჰმოღვაწეობდა ოთხის ინსპექტორის ხელში და ოთხივეს სამაგალითო მასწავლებლად ჰყავდათ მიჩნეული. მთელი თვრამეტი წელიწადი გატაცებულის ხალისით ასრულებდა თავისს მოვალეობას, როგორც მასწავლებელი, აღმზრდელი და დამრიგებელი. ბოლოს წლებამდის მისი ავადმყოფობა არავის გაუგონია, თუმცა გარდა მასწავლებლობისა სხვა მოღვაწეობისთვისაც ჰპოულობდა დროს და ხალისს. განსვენებულმა შეადგინა და დაბეჭდა ორი წიგნი ბავშვებისათვის სახმარებლად: „მეგობარი“ 1889 წელს და „არითმეტიკული ამოცანები“. ამ უკანასკნელის მესამე გამოცემა დაიბეჭდა 1895 წელს. დაუწერია მრავალი წერილები თითქმის ყველა ქართულს გამოცემაში: „დროება“-სა, „ივერია“-სა და „ჯეჯილ“-ში. მწერლობის გარდა, რაჟდენი სხვა-და-სხვა ქართულ დაწესებულებათა წევრადაც ითვლებოდა. თანაზიარი იყო აგრეთვე ყოველგვარ საზოგადო კრებისა, სადაც-კი ირკვეოდა რაიმე ჩვენთვის საჭირ-ბოროტო საქმე. თავისის გულწრფელის სიტყვებით ყოველ წლიურ სათავად-აზნაურო ბანკის კრების დროს ცდილობდა სასიკეთო რაიმე განზრახვა განეხორციელებინა. მისს სიტყვას და მოქმედებას ერთად-ერთი დედა-აზრი ჰქონდა—წარმატება სააზნაურო სასწავლებლისა.

უყვარდა განსვენებულს საუბარი მასწავლებლის ხელმოკლეობის შესახებ. ხშირად შეუჩივლია თავისი ხელმოკლეობა, რომლის გამო იგი მოკლებული იყო ზოგიერთს წიგნს და ჟურნალ-გაზეთებს. ამის მიუხედავად, რაჟდენი მაინც ჰზრდიდა ორს უმცროსს ძმას თავისის ღონისძიებით. განსვენებული შარშან ზაფხულს ხარჯის შესამცირებლად დარჩა სახლობით ტფილისში მკათათვის გასვლამდის. მარიამობისთვეში გაემგზავრა ს. კავთისხევს ვითომ ჰაერის გამოსაცვლელად. აქ გახდა ავად ცოლით და შვილებით. მარიამობისთვის გასულს მთელი სახლობა დასნეულებული და დაუძლურებული დაბრუნდა. დასვენებისა და განკურნების ნაცვლად, ავადმყოფმა მაინც იკისრა მასწავლებლის მძიმე ტვირთი, რომლის სიმძიმე კარგადმყოფისთვისაც ძნელად ასატანია. მიდიოდა დრო და დაუღალავი მუშაკი სანთელივით დნებოდა. ამხანაგების რჩევა და თხოვნა დასვენების გამო უნაყოფოდ რჩებოდა. დადგა იანვარი და სნეულებამ უფრო გაიდგა ფესვები. მკურნალის მოწვევა რა არის, ესეც არ იკისრა. თებერვლის 20-ს ფეხზედ დგომის სახსარი რომ აღარა ჰქონდა, რაჟდენი დაბრუნდა შინ და დაწვა, მაგრამ მკურნალი მაინც არ მიიკარა. თვით სასწავლებლის მთავრობამ მიიწვია მკურნალთა კრებული მისის სნეულების გამოსარკვევად. კრებული იმ აზრს დაადგა, რომ ავადმყოფს უკურნებელი სენი სჭირს და მისი მორჩენის იმედი აღარ არისო. ოცდა ხუთ თებერვალს, ხუთშაბათ დღეს, დილის ორ საათზედ დაუღალავი მუშაკი უდრტვინველად გამოეთხოვა ტვირთ-მძიმე და გაუტანელ წუთი-სოფელს სამუდამოდ. გარდაცვალებულმა დასტოვა ახალგაზდა ცოლი ქალ-ვაჟით. დღეს ვაჟი სწავლობს სათავად-აზნაურო სასწავლებლის მესამე კლასში, ხოლო ქალი—წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში. ესენი დღეს მოკლებულნი არიან ცხოვრებისთვის საჭირო ყოველგვარს საშუალებას. სრული იმედია, რომ სათავად-აზნაურო სასწავლებლის გამგე კომიტეტი, რომელიც ასე დაუცხრომელად ჰზრუნავს მოწაფეთა და მასწავლებელთა კეთილდღეობისთვის, არც განსვენებულ მასწავლებლის ცოლ-შვილს დასტოვებს უნუგეშოდ.

საუკუნოდ იყოს ხსენება შე-

ნი, დაუღალავო მუშაკო და თავ დადებულო მასწავლებელო რაჟდენ!.

◆

ახალი ამბავი

⁂ შაბათს, 27 თებერვალს, დაასაფლავეს ტფილისში, 25 თებერვალს გარდაცვალებული ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი რაჟდენ სოლომონის ძე ჯაჯანაშვილი. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო: განსვენებულის ნათესავნი, მეგობარნი და ნაცნობნი. წირვის შემდეგ კალოუბნის ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა ი. რატიშვილმა, ხოლო დაკრძალვის დროს სასაფლაოზედ ნ. მთვარელიშვილმა და სათავად-აზნაურო სკოლის ერთმა მოსწავლემ და ორმაც ლექსი წაიკითხა. განსვენებულის კუბოს რამდენიმე გვირგვინი ამკობდა.

⁂ 27 თებერვალს ქართულმა დრამატიულმა დასმა გამართა უკანასკნელი წარმოდგენა ამ სეზონში. ითამაშეს ორი პიესა: დრამა „სულთა-მხუთავი“ და ფარსი „ოხრები“. წარმოდგენას იმდენად ბევრი ხალხი დაესწრო, რომ თეატრში გასავლელ-გამოსავლელი ადგილი აღარსად იყო. რაც შეეხება არტისტების თამაშობას, ამ მხრივ ვერც ერთი პიესა ვერ იყო ხეირიანად წარმოდგენილი, განსაკუთრებით „დრამა „სულთა-მხუთავი“. ეს წარმოდგენა დასის რეჟისორების ვ. აბაშიძის და კ. მესხის საბენეფისოდ იყო გამართული. მობენეფისეთ რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

⁂ წარსულ ყველიერის დღესასწაულებში სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო კითხვების სადგომში, ავჭალის ქუჩაზედ, ორი სახალხო წარმოდგენა იქმნა გამართული: ერთი ოთხშაბათს, 24 და მეორე შაბათს, 27 თებერვალს. ითამაშეს ეკ. გაბაშვილის პიესა „ბედი მუხთალთა“ და ა. ცაგარლის კომედია „ხანუმა“. ორივე პიესა სცენის-მოყვარეთ კარგად წარმოადგინეს და ხალხიც ბლომად დაესწრო.

⁂ 25 თებერვლიდგან დაიწყო მოქმედება ტფილისის საგუბერნიო სავაჭრო გარდასახადის საკრებულომ. ამ საკრებულოს ნამდვილ წევრებად ითვლებიან: გუბერნატორი, სახაზინო პალატის გამგე, ვიცე-გუბერნატორი, სააქციზო გარდასახადთა გამგე, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი და ქალაქის მოურავი. ამათ გარდა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის მიერ ხსენებულ საკრებულოს წევრებად დანიშნულ იქმნენ ტფილისის გუბერნიის გლეხის საქმეთა საკრებულოს წევრი მ. მ. ტებენკოვი, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დირექტორი თავ. მ. ა. გრუზინსკი და ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული ი. ა. თაიროვი.

⁂ ამ დღეებში ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტმა შეიძინა 43,000 მანეთად ის შენობა, სადაც დღემდის ხსენებული სასწავლებელი იყო მოთავსებული.

⁂ ტფილისის საბაღოსნო სკოლის საბუნების-მეტყველო საგნების მასწავლებლად ამ სკოლის მზრუნველის მიერ მიწვეულ იქმნა სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ვ. პ. კოლესნიკოვი.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამას წინად დაადგინა მიეცეს საზოგადოების თანხიდგან ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელს სესხად 1,100 მან.

⁂ ქ. ტფილისის სამხედრო ბეგარის საკრებულო უკვე შეუდგა იმ ყმაწვილ-კაცთა სიების შედგენას, რომელნიც წელს სამხედრო ბეგარის გადასახდელად არიან გაწვეულნი და რომელთაც 15 ოქტომბერს კენჭი უნდა ამოიღონ.

⁂ ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება 28 თებერვას არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა. კრება გადაიდო 14 მარტისათვის.

⁂ როგორც „კავკასი“ იუწყება, პოლიციამ ამას წინად, სასჯელთა კანონდებ. მე-1404 მუხლის ძალით, პასუხის გებაში მისცა თამბაქოს ქარხნის პატრონი ბ-ნი ბოზარჯიანცი, რადგანაც მან თავის ქარხანაში სამუშაოდ მიიღო ბავშვები 12 წლისაზედ პატარანი. ქარხნის პატრონი უარს ამბობს, — ჩემს ქარხანაში 12 წლისაზედ პატარა ბავშვებს არ უმსახურნიათო, ხოლო პოლიციამ მოწმეთა ჩვენებით წინააღმდეგი დაამტკიცა. სხვა ქარხნის პატრონთ რაკი გაიგეს ეს ამბავი, მაშინვე დაითხოვეს თავიანთ ქარხნებიდგან მცირე წლოვანი ბავშვები.

⁂ „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: დანიშნულ იქმნენ: ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი დობროვოლსკი იმავე სასამართლოს წევრად და ტფილისის სამოსამართლო პალატის მდივანი ნიკოლაევი ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრადაო.

⁂ „კავკ.“-ს სწერენ, რომ სიღნაღის მაზრის სოფელ კედმეჩურში დაარსებულ იქმნა ბოდბეს წმ. ნინოს მონასტრის ხარჯით წერა-კითხვის სკოლაო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ახალციხის მაზრის აწყურის ებრაელთ კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის საჩივარი მიურთმევიათ აწყურის თათრებზედ. ებრაელნი უჩივიან თათრებს, თავს დაგვესხნენ და ქალი მოგვტაცესო. გაზეთი თავისით უმატებს, ჩვენ შევიტყეთ, რომ ებრაელი ქალი თავის ნებით გაჰყვა თათარსაო.

⁂ ამას წინად გორის მაზრაში, როგორც „კავკ.“ იუწყება, ბესტავაანთხევის მთიდგან თოვლის ზვავი ჩამოწოლილა და სოფ. გუდისას მცხოვრებლის დათო ბესტავაშვილის სახლს დასცემია. დაღუპულა ბესტავაშვილი და ოთხი შვილი, ხოლო სამი სხვა შვილი ძალიან დაშავებულა. ზვავს დაუნგრევია აგრეთვე საჯინიბო, სადაც ხუთი ძროხა, სამი ხარი და 40 ცხვარი ყოფილა.

⁂ დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის“ მე-II ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: იოსებ კაიფა. — ისტორიული ამბავი გ. ბარნოვისა; გარიბალდიელები. — ისტორიული რომანი ვიქტორ ოტოლინისა, თარგმანი; როგორ მოიარეს ამსტერდამი გერრიტ მევსენმა და მისმა შვილმა გაისმა? — იაკობ-იან კრემერისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა; წარსულიდან. — სკოლაში წასვლამდის. — მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა (გაგრძელება); გლეხ-კაცის ისტორია. ნაწილი მეოთხე. — ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა (გაგრძელება); არჩილ ბატონიშვილის მიწერ-მოწერა. — ეზოვის წიგნიდან; სამეგრელო-სვანეთის სამთავროთა გაუქმება. — გ. ალ. ზოროზდინისა, თარგმანი თ. ს.-სი; პროფესორის ზომბარტის აზრი მეცხრამეტე საუკუნის სოციალურ მოძრაობაზე. — ლ — მესი. ქრონიკა: შინაური მიმოხილვა: შესავალი. — გადმოსახლება. — ვინ და რამდენი ესტუმრა ქართლ-კახეთს ამ საუკუნეში. — სტატისტიკის საჭიროება. — რამდენი დღიური მოდის თითო სულ გლეხზე, ან კომლზე. — უმამულობა იმერლებისა. — რაოდენობა და ემიგრაცია იმერლებისა. — მამულის სიძვირე. — ნაყმევთა უმამულობა. — რა მიეცა ნადელად გლეხს რუსეთში. — მთავრობის აზრი მამულის სიმცირის გამო ჩვენში. — სოფლის გაღარიბება და ჩვენი მოვალეობა. უცხოეთის მიმოხილვა: საფრანგეთის პრეზიდენტის გარდაცვალება. — ახალი პრეზიდენტი. — დრეიფუსის საქმე. — ამერიკის შტატები და ფილიპის კუნძულები, ლადისა. სალაყბო: უსაფუძვლო რისხვა, — იამესი; ახალი სნეულებანი და მათი წამლობა, — ჰიპოკრატისა.

⁂ 25 თებერვალს ნიკოლოზის ქუჩაზედ პოლიციელმა შეიპყრო ბორჩალოს მაზრის მცხოვრები არტემ მაროევი, რომელსაც მოპარული ტყვიის მილები მიჰქონდა. მაროევს ეს მილები მოეპარა რეუტოვის ქუჩაზედ, სადაც ნაცვლიშვილის სახლს აშენებენ.

⁂ 24 თებერვალს, გორის მაზრის გლეხმა პავლე ამბუქაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ იარმუკაში ვიღაც ჯიბგირმა ამომაცალა ქისა, რომელშიაც 20 მანეთი იყოო.

⁂ გაზ. „ტფილ. ფურ.“-ი სწერს: ამ დღეებში ტფილისის მცხოვრებმა გრიგოლ ტატიშვილმა, რომელიც ოვრაჟის ქუჩაზედ, პოდპოლ. ჩეკუნოვის სახლში სცხოვრობს, განაცხადა პოლიციაში, რომ ყოველ დღე ჩემის სადგომის ფანჯრებსა და ქერს ბ-ნ ლასენკოს სახლის მხრიდგან ვიღაცეები ქვებს ესვრიანო. პოლიციამ დარაჯობა დაუწყო და მართლაც დარწმუნდა, რომ ქვებს ესროდნენ ტატიშვილის სადგომს. ტატიშვილსა და სახლის პატრონს ჩეკუნოვს ხშირად ჩხუბი მოსდიოდათ ხოლმე, რადგანაც ტატიშვილი გადასვლას აპირებდა და ჩეკუნოვი-კი სახლის ქირასა სთხოვდა. პოლიციამ თვით ტატიშვილზედ აიღო ეჭვი და ბოლოს დარწმუნდა კიდეც, რომ ამ საქმეში დამნაშავე თვით ისა ყოფილა და ქვებს თვითონ ასროლინებდა. სხვათა შორის ტატიშვილის ნათესავმა 14 წლის ქალმა კ. ნიჟერაძემ განაცხადა, მე რამდენჯერმე ვესროლე ქვა ტატიშვილის ბრძანებით იმის სადგომის ფანჯარასაო.

⁂ ამ კვირას საბჭოს დარბაზში მოხდება საზოგადო კრება ტფილისის ხელოსანთა ამქრებისა. კრებამ უნდა განიხილოს სახელოსნო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვა 1899 წლისა და შარშანდელის კრების დადგენილება გამგეობაში მოსამსახურეთათვის ჯამაგირის დაკლების შესახებ. ამ დადგენილების ძალით ხელოსანთა მოურავის ჯამაგირი დაკლებულ უნდა იქმნას, მაგალითად, 1200 მანეთიდგან 600 მანეთამდე.

◆

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მესამე რიგის მსესხებელთა კრება წარმომადგენლების ამორჩევად.

25 თებერვალი

კრებას თავმჯდომარეობს ზედამხედველ კომიტეტის წევრი ბ-ნი ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა. მესამე რიგის მსესხებელი, რომელთაც უფლება აქვთ კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღონ, 844-ა, ამათგან კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ 157 მსესხებელი. კანდიდატებად დასახელებულია 47, რომელთა ყუთები გამწკრივებულია ბანკის დარბაზში.

მსესხ. კ. დ. ბაქრაძე. ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

თავმჯდომარე. ბრძანეთ, თუ თქვენი სიტყვა შეეხება დღევანდელის კრების წესის დარღვევას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებას არ მოგცემთ.

კ. დ. ბაქრაძე. ახალის წესდების მე 82 მუხ. დარღვეულია დღესაც და ორს წინა კრებაზედაც. ამ მუხლის ძალით სია ამომრჩეველთა ბანკის დარბაზში უნდა ყოფილიყო გამოცხადებული იმ დროიდგან, რა დროსაც კრების ვადა დაინიშნა გაზეთებში, რომ ყოველ ამომრჩეველს ჰქონოდა შეძლება იმისის გარჩევისა და შემოწმებისა; ეს მოთხოვნილება კანონისა არ იყო ასრულებული...

თავმჯდომარე აწყვეტინებს ლაპარაკს და არ აცლის დაათავოს სიტყვა.

ბ-ნი კ. ნიკოლაძე და ვ. ქორქაშვილი თხოულობენ, რომ თავმჯდომარემ ნება მისცეს ორატორს სიტყვა დაათავოს.

კ. ბაქრაძე. მე მოგახსენებთ, ჩვენ ვალდებული ვართ კანონის მოთხოვნილება სასტიკად დავიცვათ, და, საუბედუროდ, ეს არ სრულდება: ამომრჩეველთა სია მხოლოდ დღეს დილით მოგვცეს. იგი არ იყო გამოკრული ბანკის დარბაზში, როგორც წესდება ითხოვს, ის რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული გამგეობის მიერ.

თავმჯდომარე. თავი დაანებეთ, თუ ღმერთი გწამთ, მაგ წესდებას!

სია ამომრჩეველთა განხილულია ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობის მიერ და დამტკიცებული. ამის შესახებ ლაპარაკის ნებას არავის არ ვაძლევ.

კ. ბაქრაძე და ვ. ქორქაშვილი სთხოვენ, რომ ეს გარემოება ოქმში იქმნას შეტანილი, რაიცა ასრულებულ იქმნა.

შემდეგ სიტყვა ითხოვა თავ. მ. გ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც მიმართა საზოგადოებას და გააფრთხილა იგი, რომ წარმომადგენლებად უნდა ავირჩიოთ არა ისეთი კაცები, რომელნიც მარტო პირადის ანგარიშით არიან გატაცებულნი და რომელთაც არა აქვთ არც შრომის უნარი და სიყვარული, არც საზოგადოების ერთგულება და პატიოსანი სახელი, არამედ ისეთნი, რომელნიც ცნობილნი არიან საზოგადოების ერთგულებითა და სიყვარულით, საქმის ცოდნით, შრომის მოყვარეობითა და სინიდისიანობით; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებით პასუხის მგებელნი წინაშე ღვთისა, ჩვენის საკუთარის სინიდისისა და ინტერესისა და შთამომავლობისა, რომელიც წყევა-კრულვით მოიგონებს ჩვენს უკუღმართს მოქმედებასა და ჩვენს სახელსა.

კ. ბაქრაძემ და ვ. ქორქაშვილმა მიუმატეს კანდიდატების რიცხვს რამდენიმე. ამ გვარად კანდიტატების რიცხვი ავიდა 75-მდე. კენჭის ყრის დროს ორმა კანდიდატმა თავისი ყუთი აალებინა; დარჩა 73, რომელთაგან პირველი ნახევარი დასახელებული იყო ბ-ნ სპირ. ლეჟავას მიერ, ხოლო მეორე ბ-ნ კ. ბაქრაძისა და ქორქაშვილის მიერ. თავმჯდომარემ ასისტენტებად მოიწვია სპ. ლეჟავა, ივ. დავიდოვი, გ. ს. ბარათაშვილი, პავ. ბ. ჩხეიძე, კ. აბაშიძე, ზაქ. ჭეიშვილი და ყორყოლაძე. კენჭის ყრა დაიწყო 12 საათზედ. თავმჯდომარემ უბრძანა ყველას ყუთებს მოშორებოდნენ; მხოლოდ ის კი ვერ შენიშნა, რომ ბ-ნი დ. ჩიკვაიძე (ძმა კ. ჩიკვაიძისა) თავისუფლად დასეირნობდა საარჩევნო ყუთებთან და არა ერთს ამომრჩეველს ამოეტუზებოდა გვერდში. კენჭის ყრა გათავდა სამს საათზედ და დაიწყეს თვლა, რომელმაც გასტანა საღამოს 7 საათამდის. პირველი ნახევარი კანდიდატებისა ამორჩეულ იქმნა, ხოლო მეორე გაშავებული. წარმომადგენლებად ამორჩეულ იქმნენ მარტო სპირიდონ ლეჟავას მიერ დასახელებულნი კანდიდატები.

ამორჩეულნი არიან:

	თ.	შ.
ლორთქიფანიძე ლევ. დ.	142	15
კახიანი გიორ.	140	17
ჩხეიძე პავ. ბეჟ. ძე	139	17
ბარათაშვილი გრ. ს.	137	18
ნიჟარაძე კ. დ.	137	20
საყვარელიძე იოსებ	137	20
ტატიშვილი გ. რ.	135	22
გასნევსკი ი.	133	23
ლოლაძე შამ.	133	24
ვაჭეიშვილი კ.	133	24
იოსელიანი გ. ა.	133	24
ინალიშვილი ნეს.	132	25
ხოშტარია ათ.	132	25
ალავიძე რაჟ.	131	26
სეხნიაშვილი ფ.	131	26
ავსარქისოვი ფარ.	130	27
აბულაძე ს. ი.	130	27
ჭეიშვილი ზაქ.	129	27
დარახველიძე ქრ.	129	28
კუჭუხიძე ბეჟ.	128	27
გიორგობიანი ბიჭია	128	29
ქურციკიძე ან. პეტ. ძე	128	29
ყიფიანი ა. მ.	127	30
კიკნაძე დ.	127	30
ამირაღოვი გ.	127	30
კაჭკაჭოვი გ.	126	31
რუხაძე ს. ბეჟ.	126	32
ლეჟავა სპ.	126	30
ნიჟარაძე ი.	125	32
ყორყოლაძე ვარ.	124	33
ბატიაშვილი ისხაკ	121	36
ჯოჯუა ბიჭია	120	36
სიდავა იოსებ.	122	35
ჭილია ევ. ალ.	119	38
შავგულიძე თევ.	118	39

არ ამოირჩიეს: ლორთქიფანიძე მ. გ. 65 თ. 91 შ., ქორქაშვილი მიხ. ლ. 50 თ. 106 შ., ბაქრაძე კ. დიმ. 46 თ. 110 შ., ზდანოვიჩ გ. ფ. 54 თ. 103 შ., ჩოგოვაძე მელ. ი. 44 თ. 112 შ., ჩიმაკაძე ი. გ. 41 თ. 116 შ., ჭყონია ალ. მ. 35 თ. 121 შ., სანებლიძე იოს. თ. 40 თ. 117 შ., გორგაძე ანთიმოზ 34 თ. 123 შ., ქორქაშვილი ვ. ლ. 48 თ. 109 შ. გუნცაძე იოს. 36 თ. 121 შ., ნიკოლაძე კ. ი. 37 თ. 120 შ., ყაუხჩოვი ი. ი. 37 თ. 120 შ., ქიქოძე გ. ი. 35 თ. 123 შ., ერისთავი ნ. გ. 41 თ. 116 შ., ქიქოძე მ. ა. 40

თ. 117 შ., ნაზაროვი დ. ა. 44 თ. 113 შ. და სხვანი.

◆◆

კრება ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებისა

20 თებერვალი.

თავმჯდომარეობდა ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. წაიკითხეს თხოვნა ბ-ნ პ. თვალჭრელიძისა, რომელიც სთხოვს ხსენებულ განყოფილებას, მიეცეს მას ნება, შაბიამნის საწყობი გამართოს ქუთაისში, რომ სოფლელმა ხალხმა შეიძინოს მისგან ნამდვილი შაბიამანი, რომელსაც იგი გამოიწერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან.

განყოფილებამ ნება დართო ბ-ნ თვალჭრელიძეს იმ პირობით, რომ ზედამხედველობა და ყურის გდება ამ საგნისა თვითონ ქუთაისის განყოფილებას ჰქონდეს.

შემდეგ წაკითხულ იქმნა სამინისტროდგან გამოგზავნილი ქაღალდი, რომელშიაც გამოცხადებულია საყვედური, რომ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც ამ საზოგადოების განკარგულებაშია, აქამდის რიგიანს გზას ვერ დასდგომია როგორც თეორიულ სწავლის მხრივ, ისე პრაქტიკულის მუშაობითაო. ეს საყვედური დაფუძნებულია ბ-ნ მეშჩერსკის რევიზიაზედ. ბ-ნი მეშჩერსკი გამოგზავნილი იყო პეტერბურგიდგან სამინისტროს მიერ ამ სკოლის დასათვალიერებლად. აი, სხვათა შორის, რა ნაკლულევანებას აღნიშნავს ბ-ნი მეშჩერსკი: „მოსწავლეებს დასასვენებლად ორის თვის ვადით ითხოვენ, რაიცა დიდ ვადად უნდა ჩაითვალოს; სასწავლო დღეები წლის განმავლობაში ცოტა არის (92) და ამასთან გაკვეთილების რიცხვიც (250) თვითეულ კლასში საკმარისი არ არის; მოსწავლის შრომის ნაწარმოები მცირე ღირსებისაა (20 მან. წლის განმავლობაში); დამუშავებული ადგილი მცირედის სივრცისა არის, სულ 93 დესეტინა; დანარჩენი—ზოგი ცალიერია, ზოგი დაჭერილია შენობებით, ზოგი—უბრალო ხეებით; რამდენიმე დესეტინა განაპირა ადგილი რიონს წაურთმევია და რავდენისამე წართმევას კიდევ უქადის; მასწავლებლებისა და ზედამხედველის სადგომები ვიწრონი და საცხოვრებლად უვარგისია; სასწავლებელს ერთი ცხენი ჰყავს და სამი ხარი, რომელიც მოთავსებულია დაძველებულს თავლაში; სასწავლებელს არა ჰყავს არც ერთი ძროხა, სამაგიეროდ ბლომადა ჰყავს ღორი, რომელნიც თავისუფლად დაეხეტებიან სკოლის მინდვრებზედ; ფუტკრის სკების რიცხვი მცირეა (30), რიგიანი მოვლა-პატრონობა არა ჰქონიათ; როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლენი მცირედ არიან დაინტერესებულნი სკების მდგომარეობით; ღვინის სარდაფი ფართოა, მაგრამ შიგ არაფერია. სკოლის უფროსად ყოფილს ბ-ნ ბიბიკოვს გაუკეთებინებია ხილის სახმობი მანქანა, მაგრამ იგი არავის არ უხმარია და დამტვრეული სადღაც მიუგდიათ; მოსწავლეების შენახვაც ძვირადა ჯდება, მეტადრე ბევრი ფული მიდის ჩაცმა-დახურვისათვის (600 მ.). არც მასწავლებლები არიან საკმაოდ მომზადებულნი თავიანთის მოვალეობისათვის“.

ამასთან სამინისტრო წინადადებას აძლევს ქუთაისის სამეურნეო განყოფილებას, რომ ორის წლის განმავლობაში ეს სასწავლებელი დააყენოს რიგიანს გზაზედ. თორემ სასწავლებლის მართვა-გამგეობა ჩამოერთმევა და გადაეცემა მთავრობასაო.

სკოლის უფროსის მაგიერს ბ-ნს მკურნალს უთხოვნია სამინისტროსთვის, რომ მან ნება დართოს, რათა ქუთაისში პრაქტიკული სამეურნეო კურსები გამართოს უსწავლელის ხალხისათვის, რომელსაც ბ-ნი მკურნალი მთარგმნელის შემწეობით ასწავლის მეურნეობას.

ამ თხოვნაზედ სამინისტროს უარი უთქვამს იმ მოსაზრებით, რომ მასწავლებლებს და უფროსს უამისოდაც ბევრი საქმე აქვთ საკეთებლად, სხვა საქმის აღება-კი მეტი ტვირთი იქმნება იმათთვისაო, მეტადრე სწავლება მეურნეობისა მთარგმნელის შემწეობით, რაიცა შეუძლებელ საქმედ უნდა იყოს მიჩნეულიო.

ბ-ნი მეშჩერსკი აღნიშნავს იმ სამწუხარო მოვლენას, რომ სასწავლებლის მმართველები ძალიან ხშირად იცვლებიან: ზოგი უნიჭობისა გამო ანებებდა თავს, ზოგი ავადმყოფობისა გამო და ზოგიც სხვა მიზეზით. ცხადია, მმართველის ამისთანა ხშირს ცვლას ცუდი გავლენა ექმნებოდა სასწავლებლის მდგომარეობაზეო. ამის გამო სამინისტრო ურჩევს ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, დააჩქაროს სკოლის რიგიანის მმართველის ამორჩევა და ჩქარა წარადგინოს სამინისტროში დასამტკიცებლად.

კრებას დაესწრო სკოლის უფროსის მაგიერი ბ-ნი ნ. მკურნალი, რომელმაც სთქვა, რომ ბ-ნ მეშჩერსკის შენიშვნები სამართლიანიაო; ეგ ნაკლულევანებანი ჩვენცა გვქონდა შენიშნული, მაგრამ მათის ასაცდენად სასწავლებელს არა აქვს საკმაო ნივთიერი საშუალებანიო.

ბ-ნ გუბერნატორის წინადადებით არჩეულ იქმნა კომისია საზოგადოების წევრთაგან: თ. ან. მ. ერისთავისა, თავ. პ. გ. წულუკიძისა და ექიმ დ. ა. ნაზაროვისაგან.

კომისია დაწვრილებით გაიცნობს სკოლის მდგომარეობასა და საჭიროებას და შემდეგ საზოგადოებას მოახსენებს თავისს მოსაზრებას, თუ რა ნაკლულევანება შეიძლება სკოლამ აიცილოს იმ საშუალებით, რაც მას ხელთ აქვს.

◆◆

წერილი განჯიდგან.

ამ წლის მარტში სამი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც აქაურმა ქართველობამ საგანგებოდ დანიშნულს კრებაზედ გარდასწყვიტა ამხანაგობის დაარსება, რომელსაც აზრად წიგნების გამოცემა უნდა ჰქონოდა. კრება ძალიან გულ-მხურვალედ მოეკიდა საქმეს: წევრნი ერთი ერთმანერთს ლაპარაკს არ აცდიდნენ, ბევრნაირად გასინჯ-გამოსინჯეს საგანი, საქმის დამაბრკოლებელი გარემოებანი ასწონ-დასწონეს და ბოლოს კრება ერთხმად იმ დასკვნას დაადგა, რომ დაწყებული საქმე ძალიან ადვილად შესასრულებელია, მხოლოდ საჭიროა ამოვირჩიოთ რამდენიმე კაცი საქმის გასაძღოლადაო. დასკვნის თანახმად იქვე ამორჩეულ იქმნა სარედაქციო კომიტეტი, ორი ხაზინადარი და მსურველნიც მთარგმნელებად ჩაეწერნენ. ერთის სიტყვით აქაურმა ქართველებმა საქმის დასაწყისში დიდი მხნეობა გამოიჩინეს, მხოლოდ...მხოლოდ პირველ კრებაზედ ანთებული ჭიაკოკონა მაშინათვე ჩაქრა, და მას აქეთ ხსენებაც-კი აღარსად არის წიგნების გამოცემისა, საქმე ჩვენებურად, ქართულად დაბოლოვდა; ამითი აქაურმა ქართველობამ დაამტკიცა, რომ ესენიც ღვიძლი ძმები არიან დანარჩენ ქართველებისა, და ეს გარემოებაც ხომ სასიქადულო და თავ-მოსაწონებელია.

ამითი რომ გავათავო, ცილს შევწამებ აქაურს ქართველობას, რადგანაც კრების შემდეგ საქმე იმათ სრულიად უყურადღებოდ როდი დასტოვეს: პირველ ყოვლისა ერთმა წევრთაგანმა კორესპონდენცია აფრინა მგონი „კვალში“ და მთელის საქართველოს წინაშე დაიქადა: აი რა კეთილს და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს მოვკიდეთ ხელი ჩვენ, ერთმა მუჭა ქართველებმაო რა გაეწყობა, კორესპონდენტიც ქართველი იყო, მაშასადამე, აქაურის ქართველების ერთად თავის მოყრა და რამდენისამე საათის განმავლობაში დიდრონაზრების ერთი ერთმანერთზედ შეჯახება საქმიანობა ეგონა, რომელსაც, მისის აზრით, ქებით მოხსენება ესაჭიროებოდა. ერთმა მთარგმნელთაგანმა კიდეც გადათარგმნა რაღაცა სამეცნიერო წიგნაკი და სარედაქციო კომიტეტს წარუდგინა განსახილველად. რედაქციამ, თუ არ ვცდები, მგონი სამი, თუ ოთხის თვის შემდეგ თარგმანის ორი პირველი ფურცელი განიხილა, რის შემდეგაც მთარგმნელსვე დაუბრუნა დაწუნებული. როდესაც შრომის მოყვარე მთარგმნელმა თარგმანის დაწუნების მიზეზის შეტყობა მოინდომა, რედაქციამ უპასუხა: „თქვენ თვითონ დაუფიქრდით, და მიზეზს უჩვენოთაც კარგად მიხვდებითო“ (?).........ხაზინადრებმაც პირველში ცოტა ფაცი-ფუცი შეჰქმნეს: მიირბინ-მოირბინეს და მგონი ერთმა ათი თუმანი მოაგროვა, მხოლოდ მეორემ არა ნაკლებ ექვსის თუმნისა. მერე? მერე რასაკვირველია ის ფულები იმათ ჯიბეში უნდა ჰქონდეთ, მაგრამ რისთვის, ეს-კი აღარ ვიცი, ვიცი მხოლოთ ის, რომ რა საქმისთვისაც ის ფული მოგროვილი იყო, იმ საქმისას დღეს სრულობით აღარავინა ჰფიქრობს. აღარა ჰფიქრობენ აღარც ხაზინადრები, თუმცა ამათ ყოველ შემთხვევაში სხვებზედ უფრო უნდა აგონებდეს საქმეს მოგროვილი ფული.

ასე სამარცხვინოთ გამოასალმეს წუთის სოფელს ჯერ თითქმის არ დაბადებული, მაგრამ დიდის ამბით განზრახული საქმე განჯელმა ქართველებმა, იმ განჯელმა ქართველებმა, რომელთა შესახებ ამ რამდენიმე წლის წინათ თითქმის ყველა ქართულის გაზეთის ნომერში ქებას წაიკითხავდით. ამ გვარად ერთს დროში გორელებმაც გაიქნიეს კუდი, მაგრამ ეხლა-კი მათი ხსენებაც კი აღარსად არის საზოგადო ასპარეზზედ. აქაურებსაც გორელების ბედი მოელით, რადგანაც ამ გვარის მოვლენის წინამორბედი ნიშნები ეხლავე ეტყობათ. ვის არ მოჰგვრის მწარე ფიქრებს ამ გვარი ზნე ხასიათი ქართველებისა. მოდი და ნუ მოგაგონდება პოეტის სიტყვები:

„...суждены намъ благіе порывы,
но свѣршить ничего не дано“....

ლოლე

◆◆

რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ რუსეთის ერთ-ერთ ნავთ-სადგურში დაარსებულ იქმნას უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი.

— სჯულის საქმეთა მინისტრის განკარგულებით, საპყრობილეთა მთავარ-სამართველოსთან უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი ექმნება იმ საგნის გამორკვევა, თუ მცირე წლოვან დამნაშავეთათვის სახელმწიფო ხარჯით სად და რა გვარი ხასიათის გამასწორებელი თავ-შესაფრები უნდა იქმნას დაარსებული.

— ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს დააარსონ საქარხნო საქმეთა მთავარი საკრებულო, საოლქო გამგეობანი და 60 ახალი თანამდებობა საქარხნო ინსპექტორისა.

◆

უცხოეთი

უნგრეთი. გაზეთების სიტყვით, არც ერთს სამინისტროს ისე აღტაცებით არ მიჰგებებია ხალხი, როგორც ახლად შემდგარ კოლომან სელისას. პარლამენტის ოპოზიციამ თანაგრძნობის გამოცხადებაში კიდევაც გადააჭარბა თურმე მთავრობის მომხრე დასს. როგორც ვიცით, ეროვნული დასი გრაფ აპონისა და გორანსკის მეთაურობით უკვე შეუერთდა მთავრობის მომხრე ლიბერალურ დასს, მაგრამ რამდენიმე წევრი ამ დასისა, ასე 5—6 კაცი, ოსკარ ივანკას მეთაურობით ისევ ოპოზიციაში დარჩენილა. ლიბერალურ დასს გარდაწყვეტილი ჰქონდა, რომ კაბინეტის ყველა წევრი მხოლოდ ამ დასიდგან ყოფილიყო არჩეული, მაგრამ რადგან გრაფი აპონი და გორანსკი შეუერთდნენ მთავრობის დასს, ცხადია, იმ დადგენილებას ეხლა მნიშვნელობა აღარა აქვს რა. ამიტომ ბევრი საფუძვლიანად ჰფიქრობს, რომ სელი შინაგან საქმეთა მინისტრობიდგან გადადგება და ამ ადგილს დაუთმობს ეროვნულ დასის ერთ ერთ წინამძღოლსო. გარდა ამისა ლაპარაკობენ კიდევ, რომ როცა ეხლანდელი პარლამენტი განიხილავს საჩქარო საქმეებს, მერმე ის დათხოვნილ იქმნება და სელი ახალს არჩევნებს დანიშნავს, რათა ხალხს საშუალება მიეცეს, მთავრობის მხრივ ძალა დაუტანებლად აირჩიოს დეპუტატები და ამ გვარად განახლებული პარლამენტი ხალხის სურვილის ნამდვილი წარმომადგენელი იყოსო.

—

კრიტი. როგორც ამბობენ, გიორგი ბატონიშვილს ვერა შეუსმენია-რა მაჰმადიანებისათვის კანდიაში. იმას წარჩინებული მაჰმადიანები გაუგზავნია მასთან მოციქულებათ კანეადგან, რომელთათვისაც დაუვალებია—როგორმე დაიყოლიონ თავიანთი ერთმორწმუნენი დასცალონ ქრისტიანეთა სახლები კანეაში და თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალს მიუბრუნდნენ, და აგრეთვე გულიდგან ამოიფხვრან განზრახვა კრიტიდგან ოსმალეთში გადასახლების შესახებ. მოციქულებს ვერა გაუწყვიათ-რა. მაჰმადიანებს უპასუხნიათ იმათთვის, რომ ჩვენთვის უმჯობესი იქნება სრულებით დავანებოთ თავი კრიტს, ვიდრე კანდიიდგან წავიდეთ სოფლებშიო.

—

ესპანია. ახალი სამინისტრო შესდგება მომეტებულ ნაწილად კონსერვატორებისაგან და თითო-ოროლა კლერიკალიც ურევია. მინისტრ-პრეზიდენტი სილველა, რომელიც აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროსაც განაგებს, მოთავე იყო კონსერვატიული დასისა, რომელსაც, საგასტას დასის შემდეგ, წევრთა რაოდენობით პირველი ადგილი ეჭირა ახლად დათხოვნილს პარლამენტში. სილველა შინაგან საქმეთა მინისტრად იყო 1879 წელს, მარშალ კამპოსის მთავარ-მინისტრობის დროს, და შემდეგ 1890 წ., კანოვასის დროს, რომელთანაც ძლიერ კარგი განწყობილება ჰქონდა. მარკიზი პიდალი, რომელმაც საზოგადო მუშაობის მინისტრობა იკისრა, კლერიკალია; იგი ერთხელ საერო განათლების მინისტრად იყო და შემდეგ—დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად. პიდალს მინდობილი აქვს ახალშენთა სამინისტროს საქმეები გასწმინდოს, რადგან ახალშენების დაკარგვის გამო ეს სამინისტრო მოისპო. გენერალი პალავიეხა, ახალი სამხედრო მინისტრი, წარჩინებულ პოლიტიკურ მოღვაწე გენერლად ითვლება, ისე როგორც კამპოსი და ვეილერი. კუბის გენერალ-გუბერნატორად ყოფნის დროს ის ერთობ სასტიკ მმართველად ითვლებოდა. ფილიპეს კუნძულებზედაც იგივე სისასტიკე გამოიჩინა მან, გარდა ამისა იგი თითქმის ყურ-მოჭრილი ყმა შეიქნა იეზუიტებისა და ამ გვარად პირველად მან გამოიწვია დიდი ამბოხება ადგილობრივ მკვიდრთა ესპანიის მმართველობის წინააღმდეგ. ეს სამი მინისტრი ყველაზედ უფრო ცნობილი და გავლენიანი კაცები არიან ახალს სამინისტროში; დანარჩენ მინისტრებს არავითარი თვალ-საჩინო ღვაწლი არ მიუძღვით ჯერ ესპანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

—

ბოლგარია. როგორც სოფიიდგან იუწყებიან, ბოლგარიის მთავარს, ფერდინანდს, უნახულებია სტამბულოვის მახლობელი მეგობარი და იმისი დასის მეთაური—პეტკოვი. უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ეს დასი ებრძოდა მთავარს და მოწადინებული იყო ტახტიდგან გადაეყენებია იგი. ეხლა, როგორც სჩანს, მთავარი და ეს დასი შერიგებულან და მათ შორის განხეთქილება მოსპობილა, დარწმუნებით ამბობენ, რომ როცა ერთ-ერთი მინისტრის ადგილი განთავისუფლდება, პეტკოვი იმ ადგილს ჩაიბარებს გრეკოვ-რადოსლავოვის კაბინეტში.

◆◆

დამაკვირდი

მკვლეთა ცრუ-მორწმუნეობათ ნუ აგინებინებთ ბრმასა და გაჯიქებულ ბრბოს.

***

სატრფოსაგან მიღებულ ჭრილობას ამრთელებს დრო, სიშორე და ჩვეულებანი ახალის ცხოვრებისა.

***

ყოველი აქსიონი დარწმუნებულია, საზოგადო აზრი ჩემს შრომას კეთილსათნოდ უყურებსო.

ედუარდ გიბბონ

◆◆

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო რუსული წიგნაკი „Наказъ Императрицы Екатерины II“, შედგენილი ვ. ე. რომანოვსკის მიერ. წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 56 გვერდს და ღირს 20 კაპ.

დეპეშა

25 თებერვალი

ტულონი. ერთს კორესპონდენტთან საუბრის დროს ლოკრუამ სთქვა, რომ ლაგუბრანში მომხდარი უბედურება თოფის წამლის აფეთქებას არ მიეწერებაო; შესაძლებელია, რომ აფეთქების მიზეზი ბოროტ-განზრახვა იყო; იქმნება აქ საათის მზგავსი მანქანა იხმარეს, რომ დანიშნულ დროს მანქანას აეფეთქებინა თოფის წამალი. რაც შეეხება იმ პატრონებს, რომლებიც იპოვნეს ყაზარმების მახლობლად, დამტკიცებულია, რომ ეს პატრონები უცხოელისა არის.

ბერლინი. იმპერიის სეიმის საბიუჯეტო კომისიამ შეიწყნარა ცენტრის წინადადება შესახებ იმისა, რომ 1903 წლამდე მშვიდობიანობის დროს ჯარის რაოდენობას თან და-თან ემატებოდეს, ვიდრე 495,500 კაცამდე მიახწევს, კავალერია 465 ესკადრონს და ცხენოსან ეგერების ესკადრონთა რიცხვი 17-მდე.

რომი. გაზეთს „Tribuna“-ს ატყობინებენ, რომ პეკინში მყოფმა ელჩმა ინგლისისამ შეატყობინა თავისს მთავრობას, ჩინეთის მთავრობამ მთხოვა გამოვუცხადო იტალიის ელჩს ჩვენი მწუხარება იმის გამო, რომ იტალიის ელჩის მარტინოს წინადადების მიღების უარი იტალიამ საწყინოდ მიიღოო. ჩინეთის მთავრობა მზად არის წერილით ბოდიში მოსთხოვოს მარტინოს. ამას დასძენენ, ბოდიში მხოლოდ მაშინ იქმნება შეწყნარებული, თუ ჩინეთის მთავრობა მოისურვებს, რომ წინადადება კვლავ წარედგინოს და გარდა ამისა ჩინეთისავე მთავრობა მოიწადინებს შერიგებას. ოფიციალურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს საქმე გადაწყდება მარტის დამლევამდე.

ოდესა. ქალაქის საბჭომ დაადგინა: გადადებულ იქმნას 3,000 მან. პუშკინის სახსოვარ დღეებში დღესასწაულების გასამართავად. შემუშავებულ იქმნას პროექტი პუშკინის სახელობაზედ სახლის აგებისათვის სხვა-და-სხვა სასარგებლო დაწესებულებით: სამკითხველოთი და აუდიტორიით; მიეცეს უფასოდ ადგილი პუშკინის სახელობაზედ დასაარსებელ თავშესაფარს, სადაც მიღებულ იქმნებიან ის ღარიბნი მწერალნი, რომელთაც შრომა აღარ შეეძლებათ. მიეცეს თავშესაფარსა, სკოლას, აუდიტორიას და სამკითხველოს წლიწადში 5,000 მან.

პეკინი. აქ ისე ჰფიქრობენ, რომ იტალიის ელჩს ჯერ არავითარი მოწერილობა არ მიუღია თვისი მთავრობისაგან შესახებ იმისა, როგორ უნდა მოიქცეს ძუნგ ლი იამენის წინაშე.

26 თებერვალი

პეტერბურგი. დღეს, იმპერატორის ალექსანდრე მესამის დაბადების დღეს პეტრე პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე III-ს ტაგრუცთან. ტაძარში ბძანდებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, პეტერბურგში მყოფნი ყველა დიდნი მთავარნი და მთავარინანი, ოლდენბურგის პრინცები და მეკლენბურგ-სტრელიცკის ჰერცოგნი.

კონსტანტინეპოლი. მექაში ავად გახდა შავის ჭირით ერთი კაცი; ჯედდში გუშინ ერთი კაცი გარდაიცვალა შავის ჭირისაგან.

27 თებერვალი.

პარიჟი. პალატა. დიუპუიმ მოითხოვა 600,000 ფრანკი ტულონში მომხდარ უბედურებისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. ფრეისინემ სთქვა, ბძანებას გავცემ, რომ მთელ საფრანგეთში გასინჯულ იქმნან თოფის წამლის ქარხნები და მიღებულ იქმნას საჭირო ღონისძიებანი უბედურების ასაცდენად. თუ საჭირო იქმნება რამდენისამე ქარხნის გაუქმება, საჭირო ფულს მოვთხოვ პალატასაო. პალატა შეუდგა სამხედრო ბიუჯეტის განხილვას.

28 თებერვალი.

ნიჟნი ნოვგოროდი. ლუიანოვის მაზრის სოფელ ბოლდინოში, სადაც პუშკინი სცხოვრობდა, სოფლის კრებამ გადასწყვიტა პუშკინის სახსოვრად დაარსებულ იქმნას ორ-კლასიანი სკოლა; სკოლის შენობისათვის მისცეს ერთი დესეტინა ადგილი; გარდა ამისა გადაწყვეტილია ყოველ წლიწადს გადადებულ იქმნეს სკოლისათვის საჭირო ფული.

ბერლინი. ინგლისის ცნობილი ფინანსისტი და პოლიტიკური მოღვაწე სესილ როდსი, რომელმაც 1896 წელს უარი სთქვა კაპის ახალშენთა მინისტრობაზე, ამ ჟამად ბერლინშია და იმპერატორთან იყო. როდსთან მოლაპარაკება არის იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკიდგან ეგვიპტემდე რკინის გზა იქმნას გაყვანილი გერმანიის ადგილებზე.

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. კამათობა სამხედრო ბიუჯეტის შესახებ. სოციალისტი სემბა თხოულობს გაუქმებულ იქმნას ის მუხლი, რომელიც შეეხება ჩვეულებრივსა ანუ საგანგებო მისიებს, რომ საზღვარგარედ აღარ იყვნენ აგენტები, რადგანაც იმათის წყალობით მხოლოდ ჯაშუშობა არსდება. ფრეისინე ამბობს: „ჩვენმა ოფიცრებმა კარგად იციან, რა ილაპარაკონ უცხოეთის სამხედრო აგენტებთან. გარდა ამისა, ისეთი საიდუმლო, რომლის განცხადებაც მოიწადინოს ვინმემ, ძლიერ ცოტაა. უცხო სახელმწიფოთა მობილიზაციის კომისიებმა თითქმის ნამდვილად იციან ჩვენი მობილიზაცია. ჩვენი უშიშრობა დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენს მამაცობასა და თავდაჭერილობაზე. რაც შეეხება იმას, რასაც სამხედრო აგენტებს აბრალებენ, მე ეს არა მჯერა. გარდა ამისა, მე უცნობ ჯაშუშს ნაცნობი მირჩევნიან. ნამდვილი ჯაშუშები ჩვენს ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას და ჩვენ იმათ არ ვიცნობთ. ეს ჯაშუშები მართლა რომ საშიშონი არიან და იმათ უნდა ვერიდებოდეთ. სამხედრო აგენტები მოვალენი არიან საზოგადო ცნობები მოგვცენ იმ სახელმწიფოს ჯარის შესახებ, რომელშიაც გამწესებულნი არიან. მოიგონეთ პოლკოვნიკი სტოფელი (ტაშის ცემა). სამხედრო აგენტს მინისტრის ხელმძღვანელობით დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან ერისათვის, თუ პ·რახდით მოიქცა“. სემბას წინადადება შეწყნარებული არ იქმნა.

ტულონი. აქ მოვიდა ინგლისის დედოფალი, რომელსაც მთავრობის ყველა მოხელენი დაუხვდნენ დიდის პატივის ცემით.

1 მარტი

ტულონი. ინგლისის დედოფალმა სუპრეფექს თავისი მწუხარება გამოუცხადა იმ დაღუპილთა გამო, რომელნიც აფეთქებამ იმსხვერპლა. სუპრეფექტმა მცხოვრებლების მხრივ, მადლობა გამოუცხადა დედოფალს.

ნიცა. აქ მობრძანდა ინგლისის დედოფალი. მოხელენი მიეგებნენ დედოფალს, რომელიც ჯანმრთელად არის. დედოფალი ეტლით სიმიეში წავიდა.

ვარშავა. დღეს ვარშავის უმთავრეს გაზეთებში—„სლოვოსა“, „ვარშავსკი კურიერსა“, „კურიერ პოლკსა“ და სხვაში, დაბეჭდილია წერილები, რომელშიაც საყვედურს აცხადებენ სტუდენტების მიერ მომხდარ უწესოების გამო და ურჩევენ მათ დაუბრუნდენ წესიერს ცხოვრებას და შრომას შეუდგნენ.

პარიჟი. „Fclair“ და „Gaulois“ სწერენ, რომ ფრეისინემ ნება არ მისცა გონზსა და პელიეს ესტერგაზის მიერ აღძრულ ბრალდებას პასუხი გასცენ.

„Fclair“-ი სწერს, ოფიციალურმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ტულონში აფეთქება სრულიადაც შემთხვევით არ მოხდაო. როგორც ხმა დადის, აფეთქების მიზეზი ანარქისტები უნდა იყვნენ.

ჰავანა. საერო კრებამ გადასწყვიტა გადააყენოს გომეცი.

პეტერბურგი. მე-2 სესხის მე-66 ტირაჟი: 200,000 მანეთი—11897/7; 75,000 მ.—1656/17; 40,000 მ.—11523/12; 25,000 მ.—181/36; 10,000 მ.—7971/45, 2923/44, 8124/10; 8,000 მ.—1350/11; 15970/9, 175/44, 5674/7, 4166/35; 5,000 მ.—1886/40, 17551/40, 6133/39, 12407/17, 560/43, 16629/38, 1748/50, 15051/29; 1000 მ.—11328/5, 5921/32, 10553/42, 947/36, 14151/13, 13634/21, 7028/49, 14832/37, 14209/41, 18514/23, 6569/34, 8573/5, 5318/2, 2402/36, 16790/14, 3767/4, 13609/23, 14590/36, 16688/43, 3070/19.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „ივერიის“ 37 №-ის ახალ ამბების განყოფილებაში არის მოთავსებული გაფრთხილება, ვითომ და ჩემს მამულში იყიდებოდეს ამერიკულ ვაზზედ ნამყენი ნერგები. ეს-კი მართალია, მაგრამ გაყიდვა დავიწყე მხოლოდ ამ 1899 წელს, მაშასადამე რანაირად მოხდა ისეთი უცნაური ამბავი, როგორსაც მოგვითხრობს ბ-ნი კორესპონდენტი: „ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, ბ-ნ მ. ანანოვის მიერ გაყიდულ 100 ნერგიდგან 20 ძლივს დგება და ჰხეირობსო“. გავრცელება რიგიან ნამყენებისა საგნად აქვს ჩემს სანერგეს და მართლაც რომ გამეყიდა, ცუდს მაინც არავის ჩავაბარებდი, რადგანაც არავითარი ინტერესი აქ არა მაქვს საქმის დახმარების გარდა.

მიხრან ანანოვი

22 თებერვალი, 99 წ.

ზემოხსენებული შენიშვნა დიახაც რომ იყო დაბეჭდილი „ივერიის“ 37 №-ში 18 თებერვალს.

ეხლა ბ-ნ მ. ანანოვის საპასუხოდ ვბეჭდავთ უფროს აგრონომის, საქარის ამერიკულ ვაზის სანერგის გამგის ბ. გ. სტაროსელსკის წერილიდგან ერთს ადგილს. ბ-ნ გ. სტაროსელსკის წერილი დაიბეჭდა გაზ. „Кавк. Сельск. Хоз.“-ს მე-268 ნომერში (25 თებერვალს.)

აი რასა სწერს ბ-ნი გ. სტაროსელსკი:

„ქუთაისის მაზრის სოფ. კულაშიდგან მოვიდა ერთი კაცი, რომელიც თავ. გ. მიქელაძის ვენახში რგავდა ნერგებს. ეს ნერგები ნაყიდი იყო მ. ანანოვისაგან. ამ კაცმა მითხრა, რომ ასში 80 ისეთი ნერგი იყო, რომ კი არ უნდა ჩაერგათ, არამედ გადაეყარათ. ამის დასამტკიცებლად მაჩვენა რამდენიმე ვაზი, რომლებიც გავსინჯე და ამ კაცის სიტყვების სიმართლეს დავრწმუნდი.

„მსურდა გამომეკვლია, რამდენად კარგია ის ნერგები ამერიკულის ვაზისა, რომელსაც ბ-ნი ანანოვი ჰყიდის. ამისათვის 12 ამ თვეს გავგზავნე სოფ. საქარას ერთი გლეხი და დავავალე ეყიდნა 100 ნერგი. იყიდა და იმავე დღეს მომიტანა. ნერგები გავსინჯე და ამ 100 ნერგში მხოლოდ 19 გამოდგა ცოტად თუ ბევრად ხეირიანი“...

დანარჩენი 81 სრულიად უვარგისი აღმოჩნდა...

„ამ გვარი ვაზი,—სწერს შემდეგ იგივე ბ-ნი გ. სტაროსელსკი იმავე 81 ნერგის შესახებ, რომელიც გლეხმა ბ-ნ ანანოვისაგან იყიდა,—ადრე თუ მალე გასხმება და მყიდველი დაჰკარგავს ფულსა, რომელიც დახარჯა ამ ნერგის საყიდლად და ჩასარგველად, ტყუილა-უბრალოდ დაიჭერს ადგილს ვენახში და გარდა ამისა, რადგანაც კაცს არ ეცოდინება იმის მიზეზი, რატომ არ იხეირა ვაზმაო, შეიძლება ამერიკულს ვაზს სახელიც გაუფუჭდესო“.

ზედამხედველი კომიტეტი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, ამ ბანკის წესდების მე-82, 83, 84, 85 და 86 §§-ის თანახმად აუწყებს ბანკის იმ მსესხებელთ, რომელთაც სესხი გატანილი აქვთ საურთიერთო პასუხის-მგებლობით, რომ ამა 1899 წლის ქვემო დასახელებულ დღეებში, დილის 10 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში დანიშნულია საარჩევანო კრებანი 105 რწმუნებულის ამოსარჩევად ბანკის მსესხებელთაგან 1899—1902 წლებისათვის, ისე-კი, რომ თითოეულ ხარისხის მსესხებელთაგან არჩეულ იქმნას 35 რწმუნებული: პირველ ხარისხის მსესხებელთა—28 მარტს, მეორე ხარისხისა—29 მარტს და მესამე ხარისხისა, რომელიც ხუთ ჯგუფად არის გაყოფილი, საარჩევანო კრებები მოხდება: პირველი ჯგუფისათვის—30 მარტს, მეორისათვის—31 მარტს, მესამისათვის—1 აპრილს, მეოთხისათვის—2 აპრილს და მეხუთისათვის—3 აპრილს.

საარჩევანო კრებანი კანონიერად იქმნება ჩათვლილი, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს (წესდების მე-86-§-ის შენიშვნა). სია იმათი, ვისაც კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდგან გამოკიდებული იქმნება ბანკის სადგომში გადასათვალიერებლად და იმის გასაგებად, ვინ რომელ ხარისხის ამომრჩეველთ ეკუთვნის.

(3—6.—2)

განცხადებანი

მკერვალი
ევროპიულის ტანისამოსისა
ივანე სვანიძე
გადავიდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ
ზუბალოვის სახლებში, სასულიერო,
სემინარიის პირდაპირ, № 4.
(6—16—5)

თესლეულობათა დეპო
გ. გ. ლარშესი
(არსებობს 1872 წლიდგან)
მადათოვის კუნძულზედ, მაღაზია № 47.
მიღებულია ახალი თესლეულობა
საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილებისა და ბალახეულობათა. პრეისკურანტი
მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—6)

იყიდება იაფად და პირიანად
სხვა-და-სხვა საგალანტერეიო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები,
პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული
შკაფი № 21.
თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.
ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.
(20—6.—13) ი. ნიკოლაშვილი

Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Марта 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე